საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 69253533**
თარიღი:**19/12/2025**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისთვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნება განისაზღვროს 53 ერთეულით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის Ng-69.69243523 განკარგულება ,, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისთვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ''.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონის , წერეთლის ქ.N7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი